# ხელშეკრულება № 26
# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი 19 მაისი 2011 წელი

ერთის მხრივ, სსიპ "თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრი" (შემდგომში "შემწყიდველი") მისი მმართველის ნათელა წიკლაურის სახით და მეორეს მხრივ შპს "მიქსორი" (შემდგომში "მიმწოდებელი") მისი დირექტორის ნიკოლოზ მერებაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

**2. შესყიდვის ობიექტი**

2.1 შესყიდვის ობიექტია – 10 კბ.მ. ღორღი

**3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 130 ლარს.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 20 დღით.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლემოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

**7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულე ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა.

### 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარეე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

### 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 20 დღით.

### 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისატვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიქისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარო მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დრიოთ, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12.4 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.5 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შ საძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.6 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თეატრის

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტიოს ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**14. სხვა პირობები**

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

"შემსყიდველი"

სსიპ "თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრი"

შავთელის ქ.26
სს ბანკი"ქართუ"კრწან.-მთაწმინდის ფილ.
კოდი 220101086
ანგ. 86092783408
საიდენტ. 204390159

"მიმწოდებელი"

შპს "მიქსორი"

ქ. თბილისი, ხანძთელის,1
სს თიბისი ბანკი
კოდი 220101850
ანგ. GE 54TB1178636050100002
საიდენტ. 205249827

## მიღება-ჩაბარების აქტი № 27

თბილისი 25. 05.. 2011წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ "თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრი", მისი მმართველის ნ.წიკლაურის სახით, და მეორეს შპს "მიქსორი" მისი დირექტორის ნიკოლოზ მერებაშვილის სახით, ვადასტურებთ, რომ შემსყიდველმა მიიღო, ხოლო მიმწოდებელმა მიიღო 10 მ3 ბეტონი. შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 130 ლარს.

| "შემსყიდველი" | "მიმწოდებელი" |
|---|---|
| სსიპ "თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრი" | შპს "მიქსორი" |
| შავთელის ქ.26 | ქ. თბილისი, ხანძთელის,1 |
| სს ბანკი-ქართუ, მთაწმ.ფ-ლი | სს თიბისი ბანკი |
| კოდი 220101086 | კოდი 220101850 |
| ანგ. 86092783408 | ანგ. GE 54TB1178636050100002 |
| საიდენტ. 204390159 | საიდენტ. 205249827 |

THE TBILISI MARIONETTE STATE THEATRE 204390159

MIXORI CONSTRUCTION COMPANY 205249827 GEORGIA